პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი | № 70 (13191) | ხუთშაბათი 25 მარტი 1965 წ | ფასი 2 კაპ.

დამამთავრებელი წელი შვიდწლედისა

დიდი აღმავლობით მიმდინარეობს შვიდწლედის დამამთავრებელი წელი. იგი ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით აღინიშნება. ვადამდე შეკასრულოთ 1965 წლის გეგმა! — ასეთია რესპუბლიკის მშრომელთა სიტყვა, რომელიც სახელოვანი საქმეებით მტკიცდება. შვიდწლედის მეშვიდე წლისათვის ნაკისრია ახალი სოციალისტური ვალდებულებანი. ქალაქად და სოფლად მძაფრად ისმის შეუპოვარი შრომის მაჯისცემა. ამას მეტყველებს ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტთა სურათები, გადაღებული შრომის სხვადასხვა უბანზე.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მოაშურა კომკავშირელმა ლამზირა ბოჭორიშვილმა ქუთაისის ავეჯის ფაბრიკას. მალე რბილი ავეჯის საამქროს მოწინავე მუშა გახდა. ახლა ყოველდღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებს (სურათი ზემოდან);

ფოთის ელექტრო-გამაძლიერებელი მანქანების ქარხნის რჩეულ მუშათა რიგებშია კომკავშირელი ლიანა მზარელუა. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა გოგონამ წარმატებით ითვისა ამომხვევის პროფესია. 130-140 პროცენტი! — ასეთია ლიანა მზარელუას ყოველდღიური მაჩვენებელი (სურათი შუაში);

ვანის რაიონის სოფელ ტობანიერის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოებია. ამთავითვე გაჩაღებულია ბრძოლა შვიდწლედის დამამთავრებელი წლის უხვი მოსავლისათვის. შრომაში თავი ისახელა მოწინავე მექანიზატორმა ვ. ფაილაძემ, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებს (სურათი ქვემოთ).

ფოტოები ა. ჩარკვიანის, ი. ჯოხონელიძისა და გ. გერსამიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1965 წლის 24 მარტს კრემლში გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგშია:

1. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელი ღონისძიებანი (მომხსენებელი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი).

2. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1965 წლის 1-5 მარტის საკონსულტაციო შეხვედრის შედეგები (მომხსენებელი ამხ. მ. ა. სუსლოვი).

პლენუმის დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პატივი სცა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, საბჭოთა კავშირის მეგობრის ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის ხსოვნას. მოკლე სიტყვა ამხანაგ გეორგიუ-დეჟის შესახებ წარმოთქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი ამხანაგ გეორგიუ-დეჟის ხსოვნას.

ამხანაგებმა, 1965 წლის 19 მარტს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი გეორგე გეორგიუ-დეჟი.

შეწყდა გულისცემა რუმინეთის გამორჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწისა, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლისა.

ამხანაგმა გეორგიუ-დეჟმა განვლო მებრძოლი რევოლუციონერის, ლენინელი კომუნისტის, თავისი სამშობლოს პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის ძნელი, მაგრამ სახელოვანი გზა. მთელი მისი სიცოცხლე განუყოფელია რუმინეთის გმირი მუშათა კლასის ბრძოლისაგან ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, მისი ნათელი მომავლისათვის.

ამხანაგ გეორგიუ-დეჟის დაუცხრომელ საქმიანობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული რუმინელი ხალხის ისტორიული გამარჯვებანი სოციალისტურ შენებლობაში. იგი რუმინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის კოოპერირებისათვის, კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის პარტიის პოლიტიკის სულისჩამდგმელი იყო. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მიანდა მას იმის უტყუარ საშუალად, რომ განუხრელად ამაღლებულიყო მშრომელთა ცხოვრების დონე.

ამხანაგი გეორგიუ-დეჟი დაუცხრომლად ზრუნავდა რუმინეთის მუშათა კლასის მარქსისტულ-ლენინური ავანგარდის — რუმინეთის მუშათა პარტიის განმტკიცებისათვის, მშრომელ მასებთან მისი კავშირის განმტკიცებისათვის და ეს მიაჩნდა პარტიის გამარჯვების საწინდრად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტები ამხანაგ გეორგიუ-დეჟს იცნობდნენ როგორც სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირებისათვის მებრძოლს, როგორც მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლს.

განსაკუთრებით გულთბილად მინდა მოვიხსენიო ამხანაგი გეორგიუ-დეჟი როგორც საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ხალხის ერთგული მეგობარი. ბევრი ჩვენგანი პირადად იცნობდა ამხანაგ გეორგიუ-დეჟს, ახლო იცნობდა მას ჩვენი საერთო საქმის გამარჯვებისათვის მრავალი წლის ერთად ბრძოლის განმავლობაში.

დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ძმური მეგობრობა, რისთვისაც ამხანაგი გეორგე გეორგიუ-დეჟი იბრძოდა და რაც შეეხებამება ჩვენი ხალხების ძირეულ ინტერესებს, კვლავაც განმტკიცდება და გაღრმავდება.

ამხანაგებო, გთხოვთ წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ ჩვენი მებრძოლი მეგობრისა და ამხანაგის გეორგე გეორგიუ-დეჟის ხსოვნას.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘᲡ ᲒᲔᲝᲠᲒᲔ ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲣ-ᲓᲔᲭᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ, 1965 წლის 19 მარტს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი გეორგე გეორგიუ-დეჟი.

შეწყდა გულისცემა რუმინეთის გამორჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწისა, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლისა.

ამხანაგმა გეორგიუ-დეჟმა განვლო მებრძოლი რევოლუციონერის, ლენინელი კომუნისტის, თავისი სამშობლოს პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის ძნელი, მაგრამ სახელოვანი გზა. მთელი მისი სიცოცხლე განუყოფელია რუმინეთის გმირი მუშათა კლასის ბრძოლისაგან ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, მისი ნათელი მომავლისათვის.

ამხანაგ გეორგიუ-დეჟის დაუცხრომელ საქმიანობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული რუმინელი ხალხის ისტორიული გამარჯვებანი სოციალისტურ შენებლობაში. იგი რუმინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის კოოპერირებისათვის, კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის პარტიის პოლიტიკის სულისჩამდგმელი იყო. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მიანდა მას იმის უტყუარ საშუალად, რომ განუხრელად ამაღლებულიყო მშრომელთა ცხოვრების დონე.

ამხანაგი გეორგიუ-დეჟი დაუცხრომლად ზრუნავდა რუმინეთის მუშათა კლასის მარქსისტულ-ლენინური ავანგარდის — რუმინეთის მუშათა პარტიის განმტკიცებისათვის, მშრომელ მასებთან მისი კავშირის განმტკიცებისათვის და ეს მიაჩნდა პარტიის გამარჯვების საწინდრად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტები ამხანაგ გეორგიუ-დეჟს იცნობდნენ როგორც სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირებისათვის მებრძოლს, როგორც მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლს.

განსაკუთრებით გულთბილად მინდა მოვიხსენიო ამხანაგი გეორგიუ-დეჟი როგორც საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ხალხის ერთგული მეგობარი. ბევრი ჩვენგანი პირადად იცნობდა ამხანაგ გეორგიუ-დეჟს, ახლო იცნობდა მას ჩვენი საერთო საქმის გამარჯვებისათვის მრავალი წლის ერთად ბრძოლის განმავლობაში.

დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ძმური მეგობრობა, რისთვისაც ამხანაგი გეორგე გეორგიუ-დეჟი იბრძოდა და რაც შეეხებამება ჩვენი ხალხების ძირეულ ინტერესებს, კვლავაც განმტკიცდება და გაღრმავდება.

ამხანაგებო, გთხოვთ წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ ჩვენი მებრძოლი მეგობრისა და ამხანაგის გეორგე გეორგიუ-დეჟის ხსოვნას.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

1965 წლის 24 მარტს კრემლში გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგშია:

1. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელი ღონისძიებანი (მომხსენებელი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი).

2. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1965 წლის 1-5 მარტის საკონსულტაციო შეხვედრის შედეგები (მომხსენებელი ამხ. მ. ა. სუსლოვი).

პლენუმის დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პატივი სცა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, საბჭოთა კავშირის მეგობრის ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის ხსოვნას. მოკლე სიტყვა ამხანაგ გეორგიუ-დეჟის შესახებ წარმოთქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი ამხანაგ გეორგიუ-დეჟის ხსოვნას.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲦᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲫᲘᲛᲐᲠᲘ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲨᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ადამიანები იზიარებენ მოძმე რუმინელი ხალხის მწუხარებას იმის გამო, რომ გარდაიცვალა რუმინელი ხალხის ერთგული შვილი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი გეორგე გეორგიუ-დეჟი.

24 მარტს ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის დაკრძალვის დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს, შეწყვიტა მუშაობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები ეწევიენენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს. მათ დიდი სამეფმარი ეთხრეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებით საქმეთა რწმუნებულს სსრ კავშირში ტიტუს სინუ. იმის გამო, რომ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის მეგობარი, ამხანაგი გეორგე გეორგიუ-დეჟი, რომელმაც ბევრი ძალღონე მოახმარა სსრ კავშირისა და რუმინეთის ხალხთა ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებას.

იმათ შორის, ვინც საელჩოს ეწვია, იყვნენ ამხანაგები ლ. ნ. ეფრემოვი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მეკასინაი, შ. რ. რაშიდოვი, ი. ვ. ანდროპოვი.

დაუსრულებელ ნაკადად მიდიოდნენ 24 მარტს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში მოსკოველნი და მოსკოველ ოლქის ქარხნებისა და მშენებლობების, დაწესებულებებისა და ინსტიტუტების ხალხი. ამ ადგილებში ბევრ ადგილას ეკიდა ფლაგი ნახევარ ანძაზე.

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ

ᲓᲔᲙᲐᲔᲨᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲐ

ᲡᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა ირანის შაჰს მოუმზადა რეზა ფალევის გადაგზავნა დეპეშა, რომელშიც მას და ირანელ ხალხს მიეულოცა ახალი წელი და გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირისა და ირანის ურთიერთობა განუხრელად განვითარდება მეგობრობისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით.

სპასუხო დეპეშაში ირანის შაჰმა მადლობა გადაუხადა ა. ი. მიკოიანს მილოცვისათვის და თავის მხრივ საბჭოთა ხალხს უსურვა პროგრესი და აყვავება და ორი მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცება. (საკდესი).

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲣ-ᲓᲔᲭᲘ

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის გეორგე გეორგიუ-დეჟის ხსოვნის უკვდავსაყოფად რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 23 მარტის ბრძანებულებით ვორონეჟის ოლქის ქალაქ ლისკის დაერქვა ქალაქი გეორგიუ-დეჟი. (საკდესი).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 24 მარტი. (საკდესი). დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის ხსოვნის.

დედაქალაქის მშრომელებთან ერთად მიტინგზე იყვნენ ამხანაგები ა. პ. კირილენკო, დ. ს. პოლიანსკი, პ. ნ. დემიჩევი, ა. ვ. ანდროპოვი, სხვა საბჭოთა, პარტიული, სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწეები.

დარბაზში იყვნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ტიტუს სინუ, რუმინეთის საელჩოს თანამშრომლები.

ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ ᲑᲔᲠᲫᲔᲜ ᲮᲐᲚᲮᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲗᲘᲡ ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა საბერძნეთის მეფეს კონსტანტინეს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მიეულოცა და წარმატებანი და აყვავება უსურვა მშვიდობისმოყვარე ბერძენ ხალხს.

ᲓᲔᲙᲐᲔᲨᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲐ

ᲡᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა ირანის შაჰს მოუმზადა რეზა ფალევის გადაგზავნა დეპეშა, რომელშიც მას და ირანელ ხალხს მიეულოცა ახალი წელი და გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირისა და ირანის ურთიერთობა განუხრელად განვითარდება მეგობრობისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით.

სპასუხო დეპეშაში ირანის შაჰმა მადლობა გადაუხადა ა. ი. მიკოიანს მილოცვისათვის და თავის მხრივ საბჭოთა ხალხს უსურვა პროგრესი და აყვავება და ორი მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცება. (საკდესი).

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲣ-ᲓᲔᲭᲘ

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის გეორგე გეორგიუ-დეჟის ხსოვნის უკვდავსაყოფად რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 23 მარტის ბრძანებულებით ვორონეჟის ოლქის ქალაქ ლისკის დაერქვა ქალაქი გეორგიუ-დეჟი. (საკდესი).



ᲓᲐᲛᲙᲠᲔᲚᲔᲑᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (ხაკ. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროში სულ უფრო ფართოვდება მოძრაობა კომუნისტური შრომის სახელწოდების მოპოვებისათვის. აქ ბევრი ბრიგადა, ცალა, საწარმოო უბანი უკვე ატარებს ამ საპატიო წოდებას.

მაღაროს წარჩინებულ მებრიგეებს ზ. კურცხალიას და დ. ქალაძეს, ამ დღეებში მიენიჭათ კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. მაღაროს პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მაჭარაშვილმა მათ საზეიმო ვითარებაში გადასცა კომუნისტური შრომის დამკვრელის მოწმობები.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲦᲐᲜ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (ხაკ. კორ.). ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხიდან არ მოსდით ბათუმელ მანქანათმშენებლებს ბარათები.

ამას წინათ აქ წარმატებით შეასრულეს დიდი დაკვეთა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოების — განისა და სომალისათვის. მანქანათმშენებლებმა მათ ვადამდე გაუგზავნეს სტეროლიბატორები ალკოსერვო ქარხნებისათვის.

ᲓᲐᲛᲙᲠᲔᲚᲔᲑᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (ხაკ. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროში სულ უფრო ფართოვდება მოძრაობა კომუნისტური შრომის სახელწოდების მოპოვებისათვის. აქ ბევრი ბრიგადა, ცალა, საწარმოო უბანი უკვე ატარებს ამ საპატიო წოდებას.

მაღაროს წარჩინებულ მებრიგეებს ზ. კურცხალიას და დ. ქალაძეს, ამ დღეებში მიენიჭათ კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. მაღაროს პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მაჭარაშვილმა მათ საზეიმო ვითარებაში გადასცა კომუნისტური შრომის დამკვრელის მოწმობები.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲦᲐᲜ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (ხაკ. კორ.). ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხიდან არ მოსდით ბათუმელ მანქანათმშენებლებს ბარათები.

ამას წინათ აქ წარმატებით შეასრულეს დიდი დაკვეთა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოების — განისა და სომალისათვის. მანქანათმშენებლებმა მათ ვადამდე გაუგზავნეს სტეროლიბატორები ალკოსერვო ქარხნებისათვის.

ᲜᲔᲠᲒᲐᲕᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲡ

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივი ენერგიულად შრომობს შვიდწლედის დამამთავრებელი წლის წარმატებით შესრულებისათვის. საწარმოში დიდ ყურადღებას აქცევენ ახალი ტექნიკის დანერგვას, მძიმე და შრომატევადი პროცესების მექანიზაციას.

ახლახან აქ ამუშავდა სპეციალური დამყალიბებელი მოწყობილობა, რომელიც ქვიშამტყორცნის საშუალებით აყალიბებს „163“ კაპის ჩარხის დგანს.

განზრახულია წლის პირველ ნახევარში დაიდგას სხმულის გამრეცხი დანადგარი — კიდროკამერა, რომელიც აამაღლებს პროდუქციის გაწმენდის ხარისხს.

ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲕᲢᲕᲘᲠᲗᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲡᲡᲡᲠ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭომ გადაწყვიტა განახორციელოს მთელი რიგი ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ ამაღლოს მასუხისმგებლობა ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებისა და სწრაფი ათვისებისათვის.

ასეთი გადაწყვეტილება გამოწვეულია იმით, რომ შარშან აღინიშნა ისეთი ფაქტები, როდესაც ახალი საწარმოები და ნაგებობანი დაუმთავრებელი მიიღეს, ჯეროვნად არ შეამოწმეს მოწყობილობა. ამის შედეგად დღემდე ეს საწარმოები და ნაგებობანი დამაკმაყოფილებლად არ მშრომობენ. მაგალითად, ნოიემბერიოვის ქიმიურ კომბინატში სიერქსლოტაციოდ გადაეცა კარბამიდის საამქრო. ამ საამქროში, გარდა იმისა, რომ იგი დაუმთავრებელია, ჯამოვლინდა დეფექტები ტექნოლოგიურ სქემაშიც, რომლებიც ხელს უშლიან პროცესის ნორმალურ წარმოებას. შუა ურალის სპილენძსადნობ ქარხანაში ამუშავდა გოგირდმტავავას საამქროს პირველი და მეორე რიგი, მაგრამ სპარეექტო ინსტიტუტების მიერ დაშვებული შეცდომების გამო ამ წარმოებას გოგირდის გაზი არ ყოფნის იმ რაოდენობით, რაც საჭიროა.

ზოგიერთი სახალხო მეურნეობის საბჭო და საწარმოთა დირექტორი დროზე არ ზრუნავს იმისათვის, რომ მოამზადოს სიერქსლოტაციოდ პერსონალი ახალი წარმოებებისათვის, უზრუნველყოს იგი საცხოვრებელი ბინებით. მაგალითად, ყარაგანდის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტენტ. „ს № 3 შახტს სიერქსლოტაციოდ მიღებია მომენტისათვის 500 მუშა ალდა. მოსკოვის სახალხო მეურნეობის სტუპინოს მუყაოს ფაბრიკის სპეციალისტები, რომლებიც მუდმივ სამუშაოზე სხვა ოლქებიდან მოიწვევენ, მოათავსებენ საერთო საცხოვრებლებსა და პატარა ბაგონებში. სიერქსლოტაციო პერსონალი მთლიანად ვერ უზრუნველყვეს საცხოვრებელი ბინებით სოლიგორსკის კალიუმის კომბინატის მეორე რიგის ამუშავების ღროსაც.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭომ დაავალა მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებს კონტროლი დაწესონ მიმღები კომისიების მუშაობის მიმდინარეობისადმი, არ მიიღონ დაუმთავრებელი ობიექტები, ან ისეთი ობიექტები, რომლებიც პროექტულ გადაწყვეტილებებს არ შეესაბამებიან, თუ ჯეროვნად არ შეამოწმებენ მოწყობილობას. მისაღებად წარდგენილი ობიექტები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ელექტრენერგიით, აგრეთვე ნედლეულით. სათბობითა, ელექტროენერგიით — ყოველივე იმითაც, რაც საჭიროა მათი საპროექტო სიმძლავრეების სწრაფი ათვისებისათვის.

(საკდესი).

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ხელი მოაწერეს ოქმს საბჭოთა კავშირ-თურქეთის საქონელბრუნვის შესახებ 1965 წლის 1 აპრილიდან 1966 წლის 31 მარტამდე პერიოდისათვის.

ოქმი ითვალისწინებს, რომ გაორკეცდეს საქონელბრუნვა, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს საქონლის მიწოდება საბჭოთა კავშირისათვის. თურქეთი საბჭოთა კავშირს მიაწვდის პიროუტყეს, თამბაქოს, მატყლს, ბამბას, ტყავის ნედლეულს, ქიშმიშს, კაკალს.

დასახულია აგრეთვე გადიდდეს საბჭოთა ექსპორტი თურქეთში, უწინარეს ყოვლისა მანქანებისა და მოწყობილობის ექსპორტი. დაგეგმილია გაფართოვდეს საბჭოთა ნავთობპროდუქტების, შავი და ფერადი ლითონების ნაგლინის, ხე-ტყისა და ქაღალდის ნაწარმის, ქიმიკატების, მედიკამენტების, სამომხმარებლო საქონლის მიწოდება. (საკდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ᲐᲛᲮ. Დ. Თ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ სამოცი და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოც წელთან დაკავშირებით რსფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, პროფესორი დავით ონისიმეს-ძე ლორთქიფანიძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი,
1965 წლის 24 მარტი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ᲐᲛᲮ. Ა. Თ. ᲮᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. ალექსანდრე თადეოზის-ძე ხელიძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი,
1965 წლის 24 მარტი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ᲐᲛᲮ. Ფ. Გ. ᲒᲝᲯᲘᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ და ნაყოფიერი მეცნიერო-პედაგოგიური მოღვ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲘᲡ ᲒᲠᲘᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲒᲐᲖᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲮᲠᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ № 25

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ:

- ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ, ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲡᲠᲮᲔᲒᲣᲚᲘ ᲒᲘᲜᲔᲒᲘ — ᲛᲨᲠᲐᲛᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ!
- ᲐᲦᲓᲝᲕᲤᲮᲕᲠᲐᲗ ᲙᲘᲢᲘᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲜᲘ

ᲔᲡ ᲐᲦᲬᲣᲮᲔᲑᲗ, ᲔᲡ ᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲗ ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲡ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

უკანასკნელ ხანს სარედაქციო ფოსტამ მოიტანა რამდენიმე წერილი, რომელთა ავტორები ამხილებენ უხეირო ბინათმშენებლობისა და შესრულებულ სამონტაჟო სამუშაოთა უხარისხობას. ამის შესახებ რედაქციას სწერენ თბილისელი ახალმოსახლენი გ. მაკარიძე, ვ. ცაგარეიშვილი, ი. ჩიხლაძე, ზ. ჯიქიძე და სხვები.

მშრომელთა საჩივრებში მოყვანილი ფაქტებისა და საერთოდ მშენებლობის ხარისხის შესამოწმებლად რედაქციამ მოაწყო რეიდი, რომლის შედეგებს ქვემოთ ვაქვეყნებთ.

●

ᲑᲘᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ასეთი ფართო მასშტაბი წინათ არ ყოფილა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დედაქალაქის ასეული ათასობით მშრომელმა მიიღო კეთილმოწყობილი ბინა. თბილისში შეიქმნა ახალი საცხოვრებელი უბნები ფართო პროსპექტებითა და მაგისტრალებით. ამ მშენებლობათა გრანდიოზულობა ყველასათვის თვალსაჩინოა. ლენინური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა ხალხთა კეთილდღეობისთვის საქმით არის დადასტურებული. ახალი თბილისის მშენებლებს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო მოელით. ისინი მოვალენი არიან კეთილად იყოს ჩვენი ქვეყნის მოწინავე მშენებლითა რიგებში. მათ აქვთ საამისო უნარი და გამოცდილება.

ძნელია ჩამოვთვალოთ მოწინავეთა სახელები, ისინი უამრავია. უბადლო ოსტატები ახალი ჩუქურთმებით ამშვენებენ თბილისს. მათი ნახელავი კმაყოფილი არიან ის ადამიანები, რომელებმაც ბინის მიღებით უსაზღვრო სიხარული და სიამე განიცადეს.

ეი ვათვალიერებთ ავჭალის ფართო მაგისტრალზე ნაშენებ ბინებს. წუნს ვერ დავდებთ, კარგი ნაოსტატარია. მთავართბილისმშენის № 6 სამშენებლო სამმართველოს მშენებელთა კოლექტივმა საამართლიანად დაიმსახურა ახალმოსახლეთა პატივისცემა და სიყვარული. როგორც საუბარში სამმართველოს უფროსმა გ. თვალავაძემ გვითხრა, მათ ასეთი წესი შემოიღეს: საცხოვრებელ შენობას მანამდე არ დადასცემენ საექსპლოატაციოდ, სანამ შემჩნეულ უფარგლო ნაკლსაც კი არ გამოასწორებენ ის პირი, ვისი დაუდევრობითაც გამოწვეულია იგი. სამუშაოს მაღალხარისხოვნად ასრულებს მთავართბილისმშენის № 5 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი (უფროსი გ. ხუროშვილი).

შეიძლებოდა კიდევ დაგვესახელებინა მოწინავე სამშენებლო სამმართველოები, ცალკეული მშენებლები, გამორჩენილი ოსტატები, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა.

სამწუხაროდ, ამ საერთო წარმატებათა ფონზე სამარცხვინო ლაქებად მოჩანს ზოგიერთი უხეირო მშენებელთა ნაკალები. ისინი სახელს უტეხენ ახალი თბილისის სახელოვან მშენებლებს, იწვევენ ახალმოსახლეთა ვულგარულ ცილისწამებას, საყვედურებს იმათ მიმართ, რომელნიც უხეიროდ ასრულებენ სამუშაოს. ეი - ასეთი ეიმშენებლებელთა შესახებ გვინდა ვესაუბროთ მკითხველს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ მოსკოვის ფართო პროსპექტს ვეწვიეთ. მეოთხე კვარტალის მეორე კორპუსის სადარბაზოსთან მოხუცი ქალი შეგვიშვეთ. სახეზე მწუხარება ემჩნეოდა.

თუ არაფერი უჭირს, ასეთ ქალში ამ ხნის ადამიანს აქ რა გაიჩერებსო, ვიფიქრეთ, და მოკრძალებით სამსახური შევთავაზეთ.

— ჰო, დედაშვილობას, მიპირს, შვილებო, მიპირს. პერის საყიდლად ჩამოვედი. რა ვუთხრა მოხუცის გონებას, ფული დამავიწყდა. და ახლა ვდგავარ, ეგეც ვინმე იყოს მეშვიდე სართულზე ამსვლელი. თუ თქვენ ზეკით მიდიხართო, მარჯვნივ ბინაში ხმა მიაწვდინეთ, თორემ ახლა რა ამიყვანს ფეხით ამ სიმაღლეზე.

— ლიფტით რატომ არ სარგებლობთ?

— თქვენ კი გაიხარეთო. რას ამბობთ, ლიფტს ერთი დღეც არ უმუშავნია. იმ დალოცვილმა, ვინც ასეთი მაღალი შენობა აამენა, არ იცოდა, რომ ფეხით სიარული გაჭირდებოდა? რა გაუხდათ ეს პატარა ლიფტი, რომ დღემდე ვერ აამუშავეს. ეჰ, თქვენ რაც გინდათ თქვით და ძველ ბინაში მერჩივნა ყოფნა. ასეა ჩასვლით არ ვიღლებოდი,

— ნაღვლიანად თქვა შეწუხებულმა და დასძინა:

— მე რომ ეს ვითხრა, ამ ლიფტის დამდგმელს მეორე სართულზე გადმოვიყვანდი საცხოვრებლად, მაშინ მიხედებოდა ჩვენს გასაჭირს...

ამ მდგომარეობამ დაგვაინტერესა.

გამოირკვა, რომ აღნიშნული კორპუსი საექსპლოატაციოდ გადაუცია შარშან ნოემბერში. ლიფტებს კი არ უმუშავნიათ. თბილისში არის ასეთი ორგანიზაცია — „სოიუზლიფტის“ სამმართველო (უფროსი ე. კუკულავა). ამ სამმართველოს საკალიბტების მიერ ლიფტების არასწორად დამონტაჟებამ გამოიწვია ელექტროგაყვანილობის გამოსვლა მწყობრიდან. ასეთივე მდგომარეობა აღმოჩნდა ამავე კვარტალის მესამე კორპუსში. ახლა წარმოვიხ ელექტროგაყვანილობის ხელახლა დამონტაჟება ახალი მასალებით, რაზეც ათასები იხარჯება.

ასეა თუ ისე, მოსახლეობა წუხდება. სამართლიანად უსაყვედურებენ მშენებლებს. რალა გვეთქმის იმის გარდა, რომ ჩვენ მიერ ნახულ ჭალარა ქალს ვუთხრათ:

— ნამდვილად მართალი ხართ, მოხუცო!

და განა მარტო მოსკოვის პროსპექტზე? ლიფტების სრულ უმოქმედობას სხვანაირ ვეგზავნით. ეაფა-ფშაველას პროსპექტის მეექვსე კვარტალის რვასართულიან № 1-ბ კორპუსში ამ ერთი თვის წინათ შესახლდნენ ოჯახები. რა იფიქრეს მშენებლებმა, როცა მათ ასახლებდნენ, როგორ უნდა იარონ ზედა სართულს მცხოვრებლებმა, როცა ლიფტები არ მუშაობს?

რედაქციაში შემოსული მშრომელთა საჩივრების საფუძველზე შეეგამოწმეთ გათბობის მდგომარეობა ახალი დასახლების მეორე კორპუსში. აქ გათბობა მოუგვარებელია. უხეიროო საწვავის გამო სითბო კორპუსში ვერ აღწევს, ბინებში აუტანელი სიცივეა. ამიტომ იყო, რომ ამ კორპუსში მცხოვრები ვ. ცაგარეიშვილის ოჯახი, რომელსაც მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავს, სიცივის გამო ნათესავთან გაიხიზნა.

ამ კორპუსში შექმნილი მდგომარეობა შეისწავლა ქალაქის საბჭომ და გადაწყვიტა გათბობა გადაიყვანოს გაზზე. ეს სამუშაოები, რომელიც ტრესტ „ინეიშენის“ მმართველს ვ. ჭანკვეტაძეს დაეკალა, 25 თებერვლისათვის უნდა დაემთავრებინათ. დათქმული გადიდან ერთი თვე გავიდა, მშენებლობა კი...

ამ მხრივ საყვედურის ღირსია „კავსანტექმონტაჟის“ სამმართველოს უფროსი ბ. გოლუბოვი. ამ სამმართველომ საბურთალოს მასივის მეექვსე კვარტალის № 1-ბ კორპუსში დაამონტაჟა თბოგაყვანილობა. სამუშაო მიტად უხარისხოდ შეასრულეს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ პირველი სადაობაზოს ერთ და სამოთახიანი ბინები მთელ სართულზე არ თბება.

აღნიშნული საცხოვრებელი ბინა ამ ერთი თვის წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ. მშენებლობის დამთავრების აქტიც შედგა ისე, რომ ამ მდგომარეობისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

სწორედ ამაზეა ნათქვამი — სხვისი ტირე, ღობეს ჩხირიო.

აბა თვითონ სციოდეთ?!

ᲘᲡᲔᲗ უნდა დაეკმაყოფილდეთ საბურთალოს მასივის მეექვსე კვარტალის № 1-ბ კორპუსის მცხოვრებთა გასაჭირს. როგორც უკვე ვთქვეთ, ეს საცხოვრებელი რვასართულიანი ბინა ამ ერთი თვის წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ. ზოგიერთი სეროიზული დეფექტი ზევით აღენიშნეთ. მას აღარ გავიმეორებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ კორპუსის საბაბაზანოებში დაყენებული არ არის ცხელი წყლის გამანაწილებლები. ელექტროგაყვანილობის სამუშაოები დაუმთავრებელია.

ამ კორპუსის მცხოვრებლებს თვითონ უხდებათ აბაზანის დამონტაჟების ღირებულების გადახდა. (?) მესაძე საადრარბაზოში მცხოვრებმა ნ. ათანელაშვილმა აბაზანის დამონტაჟებაში არცთუ ცოტა მცირე თანხა გადაიხადა.

ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝᲡ მასივში კორპუსებიდან კორპუსებში და სავაჭროებში მისასვლელი გზები (გზას ვამბობთ, თორემ რა გზაა) მოუწყობელია. ეკეი მშენებლობის მოედნებიდან სამშენებლო ნაგავი გასატანია. მესამე კვარტალის № 26 კორპუსთან, რომლის მშენებლობა ორ წელზე მეტია დამთავრდა, სიმარტივი ყრია, გატანას კი არავინ ფიქრობს. მეოთხე და მესამე კვარტალში არსებულ მაღაზიაში მისასვლელი გზა არ არის, მომხმარებლებს ტალახში უხდებათ სიარული.

მოქალაქეთა გაკვირვებას იწვევს ის, რომ გზას აკეთებენ, ასფალტს აგებენ, რამდენიმე დღის შემდეგ კი მოდის სამშენებლო ორგანიზაცია, ჭრის არხებს, აწყობს მიწისქვეშა კომუნიკაციებს, უბრალოდ მიაყრის მიწას და მერე აღარ ფიქრობს ასფალტის დაგებაზე. ჩნდება თხრილები, რომლებზეც გადასვლა მანქანებსაც კი უძნელდებათ.

1964 წლის 18 დეკემბრის მიმართეთ ტრესტ „კაველექტრომონტაჟის“ მეორე უბნის უფროსი გ. ბოკორიშვილი საბურთალოს მასივის № 73 სახლმმართველობას სთხოვს ოთხ ადგილას კაბელის ჩასაწყობად გზის გაჭრის ნებართვას და პირობას აძლევს სამუშაოს დამთავრებისთანავე აღადგინოს თხრილების ადგილს ასფალტი. ნება დართეს, სამუშაო შესრულდა, მაგრამ გ. ბოკორიშვილს პირობა დაავიწყდა, თხრილები ასფალტით არ დაფარა. მას გაახსენეს, რომ იგი მოვალეა სამუშაო დაამთავროს, მაგრამ ბოკორიშვილი რატომღაც თავს აჩიოებს პირობის შესრულებას. საინტერესოა, რას ფიქრობს?

რით იმართლებს თავს „კაველექტრომონტაჟის“ სამმართველოს ხელმძღვანელობა, რომელმაც ამ სამი წლის წინათ, უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, 1963 წელს, საბურთალოს მასივში მიწა გათხარა, კაბელი ჩაიწყო, მიწით დაფარა და სამუშაო მიატოვა? ვინ არის მოვალე აღადგინოს ასფალტი?

ამაზე პასუხი უნდა გასცეს „კაველექტრომონტაჟის“ სამმართველოს უფროსმა შ. ჭედიამ.

კორპუსების შიდა მისასვლელი გზები სავალალო მდგომარეობაშია მეორე კვარტალში.

გზების მოუწყობლობა, უამრავი თხრილი, ნარგაევების სიმცირე სახეს უკარგავს მასივს, ჩვენს დედაქალაქს!

ᲔᲐᲤᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ პროსპექტზე № 20 სახლის მცხოვრები გ. მაკარიძე რედაქციაში გამოგზავნილ განცხადებაში აღნიშნავს, რომ იგი ბინაში ჩასახლდა 1964 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში. „გათბობის რადიატორების ცუდი შეერთების გამო წყალი ღვარივით წამოვიდა, პარკეტი დაზიანდა, აიყარა, ოთახის ტერი ჩამონგრეულია. ამის შესახებ მივმართე სამუშაოთა მწარმოებელ ნ. სოსელიას; შემპირდა, შეეკეთებო. მერე კი ალბათ მიავიწყდა. იძულებული ვიყავი მომმართა ბრიგადირისათვის (გვარი არ მახსოვს). მან ფული მომთხოვა. როცა ვუთხარი, შეეკეთებას შემპირდნენ მეთქი, ცინიკურად მიპასუხა, „ელოდე, სანამ ნ. სოსელია მასალებს გამომიგზავნის, და მერე შეკეთებო“.(!)

ადგილზე შემოწმებისას განცხადებაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. შენობის ექსპლოატაციის საგარანტიო ვადა — ერთი წელი არ გასულა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამშენებლო სამმართველომ უნდა დააკმაყოფილოს მომჩივანის სამართლიანი მოთხოვნა.

აღმაშფოთებელ მდგომარეობას წლეულს მეექვსე კვარტალის მეცამეტე კორპუსში მცხოვრებ ვ. ბაბიშვილის ბინაში. ეს სახლი 1963 წელს აამენა და საექსპლოატაციოდ გადასცა მთავართბილისმშენის სპეციალურ სამართველომ. ოჯახის ჩასახლების დღიდან კერაში წყალი ჩამოდის. კედლები გაჟღენთილია წყლით, სინესტის სუნი ახრჩობს ამ ბინაში ორ პატარა ბავშვს. განა შეიძლება ასეთ პირობებში ცხოვრება ან ბავშვების აღზრდა?

მოქალაქე ბაბიშვილმა რამდენჯერმე მიმართა 26 კრამიტრის რაიონის საბინაო სამმართველოს, სთხოვდა კერის შეკეთებას, მაგრამ მისი თხოვნა ყურად არავინ იღო.

ᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ საყვედურის ღირსია ზოგიერთი მობინადრე.

მცხოვრებთა ნაწილი უდიერად ეპყრობა კანალიზაციის გაყვანილობას. ყრის შიგ ნაგავს, რაც იწვევს კანალიზაციის გაბინდვას. საბურთალოს მასივის მეოთხე კვარტალის მეთვრამეტე კორპუსში მცხოვრებთა მიერ ცუდი მოხმარების შედეგად კანალიზაციის მილი გაიბეგდა და მთელი ერთი კვირის მანძილზე სიბინძურე ეჩეჩა მოედნებზე.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი მოქალაქენი, რომლებმაც ბინა მიიღეს, იქ არ ცხოვრობენ ჩასახლების დღიდან. ეს კი იწვევს უკმაყოფილებას მცხოვრებთა შორის, იმიტომ რომ შეფუძლებელი ხდება წყლისა და გზის ჩართვა მოხმარებისათვის.

საბურთალოს მასივის მეექვსე კვარტალის № 1-ბ კორპუსის მესამე სადარბაზოში მცხოვრებად ითვლება შ. ბურდიაშვილი. მას იქ არ უცხოვრია. ეძებენ, მაგრამ ძს კვალს ვერ მიაგნეს. წარიდა ამიტომ ამ სადარბაზოს მცხოვრებები გაზით ვერ სარგებლობენ.

სადა ხართ, ამბ. ბურდიაშვილო? ერთხელ მაინც გამოჩნდით. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მშენებლებს საშუალება მიეცათ შეამოწმონ თქვენს ბინაში გაზის გაყვანილობის გარგისიანობა, რითაც სხვებსაც საშუალება მიეცემათ ისარგებლონ გაზით.

ᲗᲔᲛᲝᲗ აღნიშნული ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. მშენებლებმა ორგანიზაციებმა მეორედ აღარ უნდა დაუშვან ასეთი შემთხვევები. კორპუსი, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა, ყოველმხრივ გამზადებული უნდა იყოს. ნურავის მივცემთ უფლებას თხრილებით დაამახინჯონ როგორც ბროსპექტები, ისე კორპუსიდან კორპუსში მისასვლელი გზები. ხოლო იქ, სადაც ამ მხრივ მდგომარეობა სავალალოა, უნდა ვეიძულოთ დამნაშავეები წესრიგში მოიყვანონ მათ მიერ ათხრილი გზები.

მკვიდრი, ლამაზი და მოხერხებული ბინები მშრომელებს — აი მშენებელთა ღირსების საქმე.

ᲠᲔᲘᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ:

Ა. ᲙᲐᲜᲯᲐᲕᲐ — თბილისის საბინაო სამმართველოს ინჟინერი, **ნ. ᲐᲜᲓᲦᲝᲚᲐᲫᲔ** — ორჯონიკიძის რაიონის საზოგადოებრივი საბჭოს მდივანი, **კ. ᲡᲐᲛᲔᲮᲐᲠᲐᲫᲔ** — № 73 სახლმმართველი, **გ. ᲗᲣᲗᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — მთავართბილისმშენის საწარმოო განყოფილების უფროსი, **Ი. ᲒᲔᲓᲔᲨᲕᲘᲚᲘ** — „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

რედაქციისაგან: როგორც რეიდის მასალები მოწმობს, ბინათმშენებლობასა და შენობათა ექსპლოატაციის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. მკითხველებს ვთხოვთ მოგვწერონ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მოწერილებლად უნდა ვაცნობოთ კონკრეტული დამნაშავეები. თქვენი შენიშვნები და წინადადებები დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს მშენებლებს იმაში, რომ თავიდან აცილებულ იქნას მსგავსი ფაქტები.

გათბობის რადიატორიდან ცხელი წყალი ღვარივით წამოვიდა.



რა ქნან, ლიფტი არ მუშაობს.

ᲠᲝᲪᲐ ᲜᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲛᲘᲖᲘᲡ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ

აბაშა. („„კომ“ კორ.). მეძროხეობის ფერმაში საკვების ნაკლებობა საფრთხეს უქმნიდა პირუტყვის ნორმალურ გამოზამთრებას. საკვები ბაზის განმტკიცების ინტერესები მოითხოვდა გადამჭრილი ზომების მიღებას. და აი საქმეში ჩაერია პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი. მან ეს საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტორგანიზაციის წინაშე, ამას მოაყვა ქმედითი ღონისძიებანი. თვითეულ ბრიგადაში მაქსიმალურად გამოიყენეს საკვების დაგროვების რეზერვები, დაუყოვნებლივ მიზიდეს იგი ფერმასთან, დახურეს საკვების უყაირათო ხარჯვის ყველა არხი. ყოველივე ამის შედეგად ზამთრის დარჩენილ დროში პირუტყვს საკვები არ მოაკლებია და მან ნორმალურად გამოიზამთრა.

აქ ჩვენ აბაშის რაიონის სოფელ ქოლობნის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის (თავმჯდომარე ე. რუსია) მოღვაწეობის ერთ-ერთ პრაქტიკულ საკითხს შევეხეთ. მაგრამ ვინ მოსთვლის, ხელშემწყობი ჯგუფი თავისი არსებობის მოკლე ხნის მანძილზე რამდენი საკითხით დაინტერესდა, ამასთან ბევრი მათგანი ადგილზევე მოაგვარა, ზოგი კი კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა ყურამდე მიეტანა.

შარშან მოსავლის აღების დროს კოლმეურნეობის № 5 ბრიგადაში. (ხელმძღვანელი პ. გვაზავა) ადგილი ჰქონდა სიმინდის დატაცების ფაქტებს. მოწვსრიგებული არ იყო აღებული მოსავლის აღრიცხვა. ეს მხედველობიდან არ გამორჩა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი. მან საკითხი განსაკუთრებულად პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონულ კომიტეტში შეიტანა. მალე დამნაშავეები პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი.

ამავე ჯგუფის სიფხიზლემ № 4 და № 5 ბრიგადებში გამოაღლინა სასუქების მითვისების ფაქტები. დამნაშავეებს ანაზღაურებინეს 10 ტონა სასუქის ღირებულება.

კოლმეურნეობის ახალი გამგეობა, რომელიც საანგარიშოსაარჩევნო კრებაზე იქნა არჩეული, საჭირო დასკვნებს აკეთებს შარშანდელი მწარე გაკვეთილიდან. წარმოების ყველა უბანზე შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა იჩრძნობა. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი მხარში უდგას კოლმეურნეობის გამგეობასა და პარტბიუროს. ყველგან სწვდება მისი ფხიზელი თვალი და მახვილი ყური.

ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲐ

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲗᲘᲗ

ᲐᲛ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდში „მასების კონტროლით“ დაბეჭდილ წერილში მხილებული იყო ნაკლოვანებანი თბილისს-გარდაბნის სამგზავრო მატარებელში. წერილთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო შემდეგი პასუხი:

„გაცნობებთ, რომ ფაქტებს, რომელებიც მოყვანილი იყო სტატიაში „მკითხველის წერილი მხატვრის კომენტარებით“, მართლაც ჰქონდა ადგილი.

ჩვენ მიერ უკვე მიღებულია სათანადო ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

1965 წლის 18 იანვრიდან გზის თბილისის განყოფილებაში გადიდებულია მატარებლების რევიზორ-კონტროლიორთა შტატი იმ ანგარიშით, რომ ბრიგადულმა შემოწმებამ ყოველდღე მოლიანად მოიცვას ყველა საგარეუბნო მატარებელი.

ამუამად მატარებლების რევიზორ-კონტროლიორები საზოგადოებრიობასთან ერთად საგარეუბნო მატარებლებში ეწევიან ბრძოლას ზვრილფეხა ცხოველთა და ფრინველის გადაყვანის მოსაწესრიგებლად № 5 საგარეო სახელმძღვანელის შესაბამისად. უბილეთოდ მგზავრობის აღმოსაფხვრელად და ვაგონებში ჯეროვანი სანიტარული მდგომარეობის დასაცავად.

Გ. ᲫᲣᲓᲐᲒᲘᲫᲔ,
ამერიკაკავკასიის რკინიგზის უფროსი.

ᲓᲠᲝᲨᲐᲒᲘᲡᲘ ᲗᲣ ᲓᲠᲝᲛᲝᲛᲯᲔᲚᲘ?

ᲐᲛ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდში „მასების კონტროლით“ დაბეჭდილ წერილში ეკითხებოდა ქალაქ ქუთაისში ტელეფონის ქსელის აბონენტთა სიის უკარგისობის შესახებ. წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ნ. ჩხიკვაძე რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი სათაურით „დროებითი თუ დრომოჭმული?“ სინამდვილეს შეეფერება.

სამინისტრომ ამისათვის გამოსყო ქალაქი და სხვა საჭირო მასალები და გადაუგზავნა კავშირგაბმულობის ქუთაისის საქალაქო კვანძს ტელეფონის ქსელის აბონენტთა ახალი სიის გამოსაცემად.

ᲗᲐᲛᲒᲘᲠᲔᲑᲘᲗᲘ, ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲐᲠ ᲛᲐᲛᲒᲔᲑᲐ

ᲔᲡ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ ᲰᲥᲜᲓᲐ „მასების კონტროლით! № 21“ გვერდში დაბეჭდილ „კომუნისტის“ რეიდის კრიტიკულ წერილს, რომელშიც მხილებული იყო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის საცხოვრებელი ბინების გათბობის საკითხი და **ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ.**

წერილთან დაკავშირებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსი ვ. ᲠᲘᲛᲐᲫᲔᲜᲘᲫᲔ და თბომეურნეობის სამმართველოს უფროსი ვ. ᲛᲣᲨᲚᲐᲫᲔ რედაქციას ატყობინებენ, რომ აღნიშნული, საკითხი განიხილა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

ადგილზე შემოწმებითი რეიდის მასალებში დასახელებული ფაქტები ძირითადად **ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ.**

ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲧᲠᲘᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲔᲑᲘ...

ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ გამყიდველს წარმოუკრთი მიმართა:

— შორიდან თითქოს კარგი ჩანდა, თუ ძმა ხარ, მომაცილო, ამ კონსერვის სადილი კაცს დაასნეულებს, გამაწყრებს...

მეტი რა გზა იყო: დახლის მუშამ მომხმარებლისაგან დაწუნებული კონსერვი თაროზე შემოდო. ისიც უკმაყოფილო იყო უხარისხო კონსერვით. ასეა — ცუდი საქონელი გამყიდველსაც არცხვენს და მომხმარებელსაც აწუხებს...

ეს ამბავი თბილკოოპავაჭრობაში მოხდა. ამ უხარისხო კონსერვის ისტორია ჯერ კიდევ 1963 წლის 17 ნოემბერს დაიწყო ამ დღეს აკკოოპგასაღებსეკციამ თიანეთის რაიონიდან ექვსასი სული ცხვარი მიაყენა თბილკოოპავაჭრობის კარს. დაკლეს, საკვერო ქსელში გაგზავნეს გასაყიდად, ხოლო ბიჭილი — თორმეტი ტონა ხორცი, მაგიერ მითითებით გორის საკონსერვო ქარხანას გადასცეს გადასამუშავებლად ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე.

ამ საეკეო ოპერაციას, ცხადია, შედეგიც უფრო საეჭვო მოჰყვა.

უხარისხო კონსერვები საწყობებში დაკონსერვდა. თბილკოოპავაჭრობამ ათასობით მანეთი ზარალი ნახა.

ასევე უხარისხო გამოდგა ყაზბეგის რაიონის დამზადების კანტორის მიერ ჩაბარებული 3.156 კილოგრამი ხორცისაგან გაკეთებული კონსერვებიც.

ამრიგად, ოცი ათასი ნახევარკილოგრამიანი ქილა დაკონსერვებული ხორცი გაფუჭდა, რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია წყალში გადაყრილი აღმოჩნდა.

ვინ არის დამნაშავე?!.

Ე. ᲗᲝᲗᲤᲣᲠᲘᲐ,
თბილკოოპავაჭრობის დირექტორი.

ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲐ

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲗᲘᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ სპეციალურ გვერდში „მასების კონტროლით“ დაბეჭდილ წერილში „არც ძველი და არც ახალი...“ მოყვანილი ფაქტები **ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ.** მიღებული ზომების შედეგად ამბანოს შენობის რემონტი დამთავრდა. ამბანოს ახალი შენობის მშენებლობა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დამთავრდება.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის სპეციალურ გვერდში „მასების კონტროლით“ დაბეჭდილ წერილში „ᲐᲠᲪ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ...“ მოყვანილი ფაქტები **ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ.** მიღებული ზომების შედეგად ამბანოს შენობის რემონტი დამთავრდა. ამბანოს ახალი შენობის მშენებლობა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დამთავრდება.

ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠ-ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ცაგერის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფების თავმჯდომარეებისა და საგუშაგოების ხელმძღვანელთა თათბირ-სემინარი.

თათბირ-სემინარზე მოხსენებებით გამოვიდნენ: საქართველოს კპ ცაგერის რაიკომის მდივანი გ. სილაგაძე, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ი. რნინანი, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ცაგერის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე დ. ნემსიწვერიძე, სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი დ. ირემაძე, კომკავშირის რაიკომის მდივანი ბ. ჩიქოვანი, ინჟინერი ჯ. ირემაძე და სხვები.

სახალხო კონტროლიორებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება.

ᲒᲚ. ᲗᲝᲗᲝᲠᲐᲫᲔ.

ᲓᲐᲙᲘᲠᲕᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲘᲜᲒᲠᲔᲕᲐ...

ᲔᲡ ამბავი 1962 წელს თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტზე მოხდა. № 7 სახლის კედლები დასკდა. გაწსაკუთრებით დაზიანდა მობინადრე ს. მაკვალიანის ბინა.

დიდწერა განცხადება. მოვიდა ერთი კომისია. სახლი ავარიულ მდგომარეობაშიაო, დასკვნა. მეორე კომისიამაც ეს დადასტურა და დოკუმენტი: ეგ ცხოვრება საშიშიაო.

მას შემდეგ მიწერ-მოწერით მთელი ტომები შეიქმნა. მობინადრეთა საჩივარზე ქალაქის საბჭოს აღმასკომმა პირველ დღესვე მოიწერა: სახლს უახლოეს ნახმარ შეაკეთებენო.

მაგრამ გავიდა წლები. ინჟმშენმა ამ სახლის ეზოში სხვა სამუშაო წამოიწყო, ახლა ამ ახალმა მშენებლობამ საძირკველი გამოუთხარა ისედაც კედელგაბზარულ ძველ სახლს.

— ნუ ღელავთ, ბინას მალე შეგიკეთებთ, — ახლაც ამშვიდებენ მობინადრეებს.

დაეჯერებათ კ

ადამიანი იმუშავებს უნორობაში

ᲙᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ Ბ. Გ. ᲔᲒᲝᲠᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲦᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲦᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲡᲬᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲑᲡ „ᲕᲝᲡᲮᲝᲓ-2“-ᲘᲡ ᲤᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ Ბ. Გ. ᲔᲒᲝᲠᲝᲕᲘ.

— რა მნიშვნელობა აქვს „ვოსხოდ-2“-ის გაფრენას კოსმოსური მედიცინისა და ბიოლოგიის თვალსაზრისით?

— საერთოდ ეს მეცნიერებები მჭიდროდ დაკავშირებულია კოსმონავტიკის განვითარებასთან და, კერძოდ, მის მომავალთან, რომელიც ჩვენ დავინახეთ ამ გაფრენის შედეგად. როგორც ჩანს, ამ გაფრენის შემდეგ ორბიტაზე შეიქმნება დიდი კოსმოსური სადგურები, საიდაც შესაძლებელი გახდება სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევა. „ვოსხოდ-2“-ის ფრენა ძალიან საინტერესოა სპეციალისტებისათვის, რომლებიც სწავლობენ ცოცხალი ორგანიზმის მდგომარეობას კოსმოსური ფრენის, აგრეთვე კოსმოსური ხომალდიდან ადამიანის გასვლის პირობებში.

ბუნებრივია, რომ სანამ განხორციელდებოდა ადამიანის გასვლა კოსმოსში, დედამიწაზე წარმოებდა ამ სპეციფიკური პირობების კვლევა, რომლებშიც ლონისძიება უნდა შეეგროვა ამ ადგილს. ამასთან ადამიანს უნდა გამოუმუშავდეს სპეციფიკური ჩვევები უნორობაში მუშაობისათვის. ამგვარად, სპეციალისტებს, როგორც ჩანს, უნდა ჰქონდეთ მეორე პროფესია, რომ კოსმოსში შეძლონ მუშაობა.

ადამიანი ყალიბდებოდა გრავიტაციის ზეგავლენით. ამას საუკუნეები დასჭირდა. ადამიანი სავსებით შეეგუა გრავიტაციის ზემოქმედებას და ისწავლა მისი გამოყენება თავისი საჭიროებისათვის. ახლა, როცა ადამიანი აღმოჩნდება სივრცეში, სადაც არ გრძნობს მიზიდულობის ძალებს, საჭიროა ორგანიზმის საკმაოდ მნიშვნელოვანი გარდაქმნა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ადამიანი მეტად სრულყოფილი „შანქანაა“. მას ძალიან აქვს განვითარებული საადაპტაციო შესაძლებლობა. ეფიქრობ, რომ ორგანიზმი თუ დიდხანს იქნა უნორობის პირობებში, შეეჩვევა ამ მდგომარეობას, შესაბამისად გარდაიქმნება. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რამდენი დრო დასჭირდება ამას, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტწილ ადამიანებს ასეთი ადაპტაცია გაუჭირდებათ.

ეფიქრობ, რომ მედიცინა და ბიოლოგია დაეხმარებიან ჩვენს ინჟინრებსა და კონსტრუქტორებს შექმნან ისეთი კოსმოსური ხომალდები, რომლებშიც შესაძლებელი იქნება ძალიან დიდხანს ფრენა უნორობის პირობებში.

— კოსმოსური მეცნიერება ამ ცოტა ხანს წინათ შეიქმნა, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის, მკითხველებისათვის, რომელი ყველაზე მთავარი ეტაპი, მთავარი მოვლენა შეიძლება აღვნიშნოთ ამ მეცნიერების განვითარებაში?

— კოსმოსური მედიცინა ცარიელ ადგილზე როდი წარმოიშვა. მას საფუძვლად უდევს უწონარეს ყოველისა ის თეორიული დებულებანი, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე შეიმუშავა ფიზიოლოგიამ, ფსიქოლოგიამ, კიბერნეტიკამ და სხვა მეცნიერებებმა. ამ მეცნიერების ეგრეთწოდებულ ღრმა ვენტურ მგრძნობიარობას. ამ დარგში კვლევა ჯერ არ დამთავრებულა. „ვოსხოდ-2“-ის ფრენის შედეგები მეცნიერებს ახალ ძვირფას მასალებს შემატებენ.

— როგორ შეიცვლება დედამიწის პირობებში მიჩვეული ადამიანების შრომითი ჩვევები? როგორც ჩანს, მათ ხელახლა მოუწევთ სწავლა? რა შრომითი ჩვევები უნდა ჰქონდეს ადამიანს, კოსმოსში რომ იმუშაოს?

ამ პრობლემებს სწავლობენ სპეციალისტები და სამუშაოები დიდი ხანია წარმოებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ბოლო წლებში მიენიჭა ამ კვლევას. უმთავრესად კოსმოსურ სივრცეში ადამიანის საქმიანობის კვლევა ამ მუშაობის ბუნებრივი განვითარებაა.

აქ ჩნდება მთელი რიგი სიძნელეები. როგორც ჩანს, კოსმოსში ადამიანს მოუხდება არა მარტო თავისი სამუშაო ადგილის მოწყობა, არამედ იგი თითქმის უნდა შეეგუოს ამ ადგილს. ამასთან ადამიანს უნდა გამოუმუშავდეს სპეციფიკური ჩვევები უნორობაში მუშაობისათვის. ამგვარად, სპეციალისტებს, როგორც ჩანს, უნდა ჰქონდეთ მეორე პროფესია, რომ კოსმოსში შეძლონ მუშაობა.

ადამიანი ყალიბდებოდა გრავიტაციის ზეგავლენით. ამას საუკუნეები დასჭირდა. ადამიანი სავსებით შეეგუა გრავიტაციის ზემოქმედებას და ისწავლა მისი გამოყენება თავისი საჭიროებისათვის. ახლა, როცა ადამიანი აღმოჩნდება სივრცეში, სადაც არ გრძნობს მიზიდულობის ძალებს, საჭიროა ორგანიზმის საკმაოდ მნიშვნელოვანი გარდაქმნა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ადამიანი მეტად სრულყოფილი „შანქანაა“. მას ძალიან აქვს განვითარებული საადაპტაციო შესაძლებლობა. ეფიქრობ, რომ ორგანიზმი თუ დიდხანს იქნა უნორობის პირობებში, შეეჩვევა ამ მდგომარეობას, შესაბამისად გარდაიქმნება. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რამდენი დრო დასჭირდება ამას, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტწილ ადამიანებს ასეთი ადაპტაცია გაუჭირდებათ.

ეფიქრობ, რომ მედიცინა და ბიოლოგია დაეხმარებიან ჩვენს ინჟინრებსა და კონსტრუქტორებს შექმნან ისეთი კოსმოსური ხომალდები, რომლებშიც შესაძლებელი იქნება ძალიან დიდხანს ფრენა უნორობის პირობებში.

**— ეს ალბათ ადამიანისა და ბიოლოგიის ერთ-ერთ ძირითადი ამოცანა, ალბათ, ეს ... ...

ახალი ამბები · ადგილები

კოსმონავტი ლეონოვი იყო გათუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). ... ორბიტაზე მძლავრი მატარებელი რაკეტით გაუყვანილია კოსმოსური ხომალდი „ვოსხოდი-2“. ხომალდს მართავს ეკიპაჟი... და აი რადიოში გაისმა ალექსი ლეონოვის სახელი და გვარი.

— ეს ხომ ჩვენი ალექსიაა! — ალტაცებით წამოიძახეს კოსმონავტ ლეონოვის ბიძაშვილის ივანე ლეონოვის ოჯახის წევრებმა, რომლებიც ბათუმში ცხოვრობენ.

— ალექსი 1947 წლის ზაფხულში ჩამოვიდა ჩვენთან, — იგონებს ივანე ლეონოვის მეუღლე მუხია. — ხშირად ზღვის პირას ატარებდა დროს, გატაცებით უყურდა ზღვა. მისი ოცნება იყო მეზღვაური გამოსულიყო, ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელშიც კი აპირებდა შესვლას. რამდენი ვეხვეწეთ, დარჩი ცოტა ხანს და დაისვენო, მაგრამ ერთ კვირაზე მეტს არ გაჩერდა. სულ წიგნებს კითხულობდა, სულ რაღაცაზე ოცნებობდა.

მაშინ ალბათ ვერც-კი წარმოიდგენდა, რომ მას მოუხდებოდა კოსმოსში ფეხის „დადგმა“ ოცნება აუსრულდა, ჩვენ ვამაყობთ მისით.

ფოტოხელოვანთა სემინარზე

24 მარტს მუშაობას განაგრძობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების, თეატრმცოდნეთის სსრ და სხვ. გაზეთების ფოტოკორესპონდენტთა გაერთიანებული შემოქმედებითი სემინარი, რომელიც ეძღვნება შემოქმედებითი ოსტატობის სრულყოფასა და მუშაობის გამოცდილების გაზიარებას.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს შემდეგი მოხსენებანი: ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ საილუსტრაციო განყოფილების გამგის მხატვარ ა. ბალაბუევისა — „პერსპექტივის გადაწყვეტა ფოტოგრაფიაში“, ჟურნალ „ოგონიოკის“ ფოტოკორესპონდენტის გ. კოპოსოვისა — „ჩემი მუშაობის გამოცდილება“, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის საილუსტრაციო განყოფილების გამგის ვ. გინზბურგისა — „ფოტოჟურნალისტი გაზეთში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის ს. მამასახლისისა — „როცა ფოტოგრაფია ხელოვნებად იქცევა“.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაზიარება. მსმენელებს თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს როსტოვის ოლქის გაზეთ „მოლოტის“ ფოტოკორესპონდენტმა ბ. კარალენმა, სომხეთის დეპეშათა სააგენტოს ფოტოკრონიკის ფოტოკორესპონდენტმა ა. ოგინიანოვმა, გაზეთ „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ.

ამავე დღეს გაიმართა სემინარის მონაწილეთა შემოქმედებითი შეხვედრა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციის კოლექტივთან.

საღამოს სემინარის მონაწილეებმა დათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი.

სემინარი მუშაობას განაგრძობს.

(საქდესი).

საჩუქარი ნორჩებს

თბილისს ელმავალსამშენებლო ქარხნის მასიგში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ხუთსართულიანი სახლების მშენებლობა. ეროი წლის წინათ აქ ტრიალი მიწდორი იყო, ახლა კი ახალმშენებლობათა მთელი კვარტალები ჩადგა მწყობრში და უკვე ათასობით მშრომელი ცხოვრობს. მშენებლობის ტემპები დღითიდღე მატულობს.

მშენებლებმა არც ბავშვები დაივიწყეს. ამ დღეებში გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი, რომელიც ორასორმოცდაათი ალსაზრდელისათვის არის განკუთვნილი. ბავშვებს ყველაფერი აქვთ: ნათელი ოთახები, გასართობი მოედნები, მშვენიერი ინვენტარი და, რაც მთავარია, მასწავლებელთა და მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი პერსონალის მზრუნველობა.

ა. ცაბინიანი.

პროკურორის დღე

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ენგურის ელეფენტრიზისა და ქალაქდის კომბინატში ამას წინათ გაიმართა პროკურორის დღე, რომელსაც ხუთასამდე მუშა-მოსამსახურე დაესწრო.

წესრიგის დარღვევათა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ ილაპარაკა რაიონის პროკურორმა ს. კაჭარავამ.

დამსწრეთა მრავალ კითხვაზე პასუხი გასცეს პროკურორმა ს. კაჭარავამ, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. ქანთარიამ, საგამომძიებლო კვეგაანყოფილების უფროსმა მ. ფეკუამ, რაიმილიციის უფროსის მოადგილემ ა. კიკაბიძემ.

კოოპერაციული ბინათმშენებლობა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქში ფართოდ არის გაშლილი კოოპერაციული ბინათმშენებლობა. გასულ წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 7.157 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინები.

მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა თითქმის ორჯერ მეტი — 12.670 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მარტო ლენინის პროსპექტზე შენდება ოთხი მრავალსართულიანი სახლი, ტელმანის მოედანზე — სამი, ხოლო რუსთაველისა და ძერჟინსკის ქუჩებზე — თითო სახლი, აქედან ერთი 84-ბინიანი და ხუთი 60-ბინიანი ხუთსართულიანი სახლები წელსვე გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

ესაუბრების ფენჯრი

მხატვარ კოტე კვალიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა

ხელოვნების მუშაკთა სახლში ამასწინათ გაიხსნა ნიჭიერი მხატვრის კოტე კვალიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა. ეს მისი პირველი პერსონალური გამოფენაა.

1935 წლიდან კვალიაშვილი თბილისის კინოსტუდიაში მხატვრად მუშაობს. პირველი ფილმი, რომლითაც კვალიაშვილი საზოგადოებრიობამ გაიცნო, იყო „ქაჯეთი“. ამას მოჰყვა მრავალი კინოფილმის გაფორმება, რომლებშიც ნათლად გამომჟღავნდა ახალგაზრდა მხატვრის ნიჭი და ოსტატობა („დაგვიანებული სასიძო“, „გიორგი საყვეე“, „ქეთო და კოტე“, „თოთაანთ ქვრივი“, „ენგურის სანაპიროზე“). ახლახან მხატვარმა მუშაობა დაამთავრა ფილმზე „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“.

კოტე კვალიაშვილი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მოღვაწეობს. კორის ვიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში მას შესრულებული აქვს მთელი რიგი პიესების („დავით გურამიშვილი“, „მაია წყნეთელი“, „იავნანამ რა ჰქმნა?“, „ქაცი და მგელი“, „სურამის ციხე“) დეკორაციები.

გამოფენაზე მცირედ არის ექსპონირებული დეკორაციული ნამუშევრები. მაგრამ სპექტაკლების — „სურამის ციხის“, „ქაცი და მგელის“ მხატვრული გაფორმებიდანაც ჩანს, რომ კვალიაშვილის დეკორაციები კარგ სცენურ გარემოს ქმნის მოქმედ პირთათვის, ორგანულად უკავშირდება სპექტაკლის მთლიან მხატვრულ ქსოვილს.

ახატვრის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პეიზაჟს. მისი ნაწარმოებები გამსჭვალულია ბუნების ღრმა გრძნობით. პოეტურობით გამოირჩევა „ჩრდილ სოფლისეენ“, „სოფლის ორღობე“, „საღამო ხანი“, „გერო“ და სხვ.

საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ეცნობა მხატვარ კვალიაშვილის ნაწარმოებთა გამოფენას.

ნ. ჯინჯარაძე-ვაჩეიშვილი.

„საქართველოს აგიტატორი“ № 9

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მეცხრე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **ფ. მახარაძე** — ვ. ი. ლენინის გამოსვლა მშრომელთა წინაშე; **ბ. ეფანტი** — დიდი წინაპრის მომდევნოლი; **გ. შატბერაშვილი** — თბილისის ემბლემა; **გ. ჯიბლაძე** — ისტორიული ტტეროლოგია; **კ. მერაბიშვილი** — დაუბერებელი შემოქმედი; **მ. ჩიქვანაია** — მთავარია შრომითი აღზრდა; **ბ. მიქავა** — ქმედითი და მეზობლურფუნი თვალსაჩინო აგიტაციისათვის; **ვ. ქევხიშვილი** — კულტურის სახლი — მშრომელთა საყვარელი ადგილი; **ლ. მიმინოშვილი** — მეტი ბოსტნეული მშრომელთა სუფრას; **ლ. ხაბურზანია** — ხელფასზე დამატებით...; უნგრელი ხალხის ეროვნული დღესასწაული; კოსმონავტიკის დღე; აფრიკა იბრძვის თავისუფლებისათვის; ა. ივანოვი — სიმართლის ძალა; **გ. დობორჯგინიძე** — აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს; **ა. მიქავა** — პოლიტიკური განათლების კაბინეტი — აგიტატორებს.

ა. გ. ფირცხალაიშვილი

ქართველ ისტორიკოსთა რიგიგს გამოაკლდა თვალსაჩინო პედაგოგი და მკვლევარი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე გიორგის-ძე ფირცხალაიშვილი.**

ა. ფირცხალაიშვილი დაიბადა 1883 წელს ქ. მახარაძეში. სწავლობდა თბილისის ვაჟთა მერვე გიმნაზიაში. 1915 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიო-ფილოლოგიის ფაკულტეტი. გიმნაზიასა და უნივერსიტეტში ყოფნის დროს აქტიურად მონაწილეობდა მოსწავლეთა და სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. კიევში იგი განაგრძობდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს. 1912 წელს უნივერსიტეტის მეცნიერებრივ კვალიფიკაციას იძაღლებდა ჰიდელბერგის უნივერსიტეტში, სადაც დაწერა პირველი მეცნიერული ნაშრომი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ა. ფირცხალაიშვილი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1929 წლიდან ა. ფირცხალაიშვილს იწვევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ დღიდან სიცოცხლამდე იგი დაუღალავად ემსახურებოდა ქართველი სტუდენტების აღზრდისა და ისტორიული მეცნიერების წინსვლის საქმეს. 1935 წელს ა. ფირცხალაიშვილს მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1942 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ა. ფირცხალაიშვილი ეკუთვნის ქართველ ისტორიკოსთა სახელოვან ოჯახს, რომელსაც წილად ხვდა ყოფილიყო არა მარტო ერთ-ერთი პირველი მეკვლე ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის მარქსისტულად შესწავლა-ახსნაში, არამედ ერთვეკ [illegible] ისტორიკოსთა [illegible] ბოლოდროინდელ [illegible] ... ბრალ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებაში წარმატებით მოღვაწეობენ. განსაკუთრებულის ალამს ეკუთვნის მრავალი საყურადღებო გამოკვლევა, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ხაუოფიერ კვლევით მუშაობასთან ერთად ა. ფირცხალაიშვილი დაუღალავად ზრუნავდა მეცნიერული კადრების აღზრდისათვის. იგი იყო ათეულობით საკანდიდატო და საოფიციალო ღისერტაციის ოპონენტი თბილისში, ბაქოში, მოსკოვსა და ლენინგრადში. სახიმღშოა განსვენებული მეცნიერის პედაგოგიური მოღვაწეობა. მის ლექციებს ახასიათებდა ფაქტებისა და მოვლენების ღრმა ანალიზი, თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა განზოგადება, სიახლე და ცხოველმყოფელობა. ალ. ფირცხალაიშვილი იყო ეროვნულ საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებაში, იყო მრავალი საკვლევი და სასწავლო დაწესებულების სამეცნიერო საბჭოს წევრი. მეცნიერულმა საზოგადოებრიობამ და მოწყალი ახალგაზრდობამ 1962 წელს აღნიშნა ა. ფირცხალაიშვილის დაბადების 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი.

ა. ფირცხალაიშვილი იყო ოჯარსულად თავმდაბალი, შრომისმოყვარე, გულკეთილი, ამასთან პრინციპული ადამიანი.

პროფესორ ალ. ფირცხალაიშვილის ხსოვნა დიდიენაკარი იქნება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი;
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი;
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოება.

..საქართველოს აგიტატორი“ № 9

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მეცხრე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **ფ. მახარაძე** — ვ. ი. ლენინის გამოსვლა მშრომელთა წინაშე; **ბ. ეფანტი** — დიდი წინაპრის მომდევნოლი; **გ. შატბერაშვილი** — თბილისის ემბლემა; **გ. ჯიბლაძე** — ისტორიული ტტეროლოგია; **კ. მერაბიშვილი** — დაუბერებელი შემოქმედი; **მ. ჩიქვანაია** — მთავარია შრომითი აღზრდა; **ბ. მიქავა** — ქმედითი და მეზობლურფუნი თვალსაჩინო აგიტაციისათვის; **ვ. ქევხიშვილი** — კულტურის სახლი — მშრომელთა საყვარელი ადგილი; **ლ. მიმინოშვილი** — მეტი ბოსტნეული მშრომელთა სუფრას; **ლ. ხაბურზანია** — ხელფასზე დამატებით...; უნგრელი ხალხის ეროვნული დღესასწაული; კოსმონავტიკის დღე; აფრიკა იბრძვის თავისუფლებისათვის; ა. ივანოვი — სიმართლის ძალა; **გ. დობორჯგინიძე** — აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს; **ა. მიქავა** — პოლიტიკური განათლების კაბინეტი — აგიტატორებს.

● ჩემპიონატები ● ტურნირები ●

დღეს ფინალებია

მოსკოვის სპორტის სახახლეში რამდენიმე დღეა გრძელდება ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოკრივეთა საკავშირო შეჯიბრება. განვლილია ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპები — მეოთხედფინალური და ნახევარფინალური შეხვედრები. ამ ასპარეზობამ ოვითეულ წონითს კატეგორიაში გამოავლინა ორი უძლიერესი სპორტსმენი, რომლებმაც დღეს უნდა გაითამაშონ ფინალები.

თუ სტარტზე, კერძოდ მეოთხედფინალურ შეხვედრებში წავაწყდით ზოგიერთ სიურპრიზს, ნახევარფინალებში იგი შედარებით ნაკლები იყო.

23 მარტს ფინალში გასვლისათვის იბრძოდნენ უმჩატეი, ქვემსუბუქი, პირველი ქვესაშუალო, პირველი საშუალო და ქვემძიმე წონის მოკრივეები.

უმჩატეს წონაში ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან უკრაინის შვიდგზის ჩემპიონი მ. მუხა და სსრ კავშირის ჩემპიონი ს. სოროკინი (მოსკოვი), ქვემსუბუქ წონაში — სსრ კავშირის, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი ს. სტეპაშკინი (მოსკოვი) და ახალგაზრდა კაუნასელი მოკრივე ა. ზუბრუს. პირველ ქვესაშუალო წონაში — მოსკოველი ე. ფროლოვი და ვიტებერანი მოკრივე ვ. ქარიმოვი (ყაზახეთი), პირველ საშუალო წონაში — მოსკოველი ჩემპიონი ვ. უგეშევი და რსფსრ მოკრივე ვ. აგეევი. ქვემძიმე წონაში — სსრ კავშირის ჩემპიონი და ტოკიოს ოლიმპიური პრიზიორი ა. კისელიოვი (მოსკოვი) და დ. პოზნიაკი (ვილნიუსი).

დანარჩენ წონებში გუშინ ფინალისტები გახდნენ: **ო. გრიგორიევი** — **ლ. ეხტრინი**, **ბ. ნიკონოროვი** — **ვ. ბარანიკოვი**, **ბ. კუროჩკინი** — **ს. კირსანოვი**, **ვ. პო